

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აქარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაზა ხალვაშს

ω^o=02-19/301

14.08.2015 6.

ბატონი ზაზა,

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს წევრის ბეჟან გობაძის 2015 წლის 04 აგვისტოს წერილობით განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან (აქარის ტელევიზიისა და რადიოს მუშაობის ხარვეზებთან) დაკავშირებით, არაერთხელ მაქვს გაცხადებული ჩემი და ტელევიზიის სხვა თანამშრომლების დამოკიდებულება, როგორც მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, ასევე სხვა დროსაც, როგორც თქვენთან, ასევე მრჩეველთა საბჭოს სხვა წევრებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის ცნობილი უნდა იყოს ჩემი პოზიცია (მოსაზრება) განცხადებაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ამჟამად წერილობით წარმოგიდგენთ:

თბილისის კორ-პუნქტის გაუქმებაზე: მას შემდეგ, რაც ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებელთა კავშირის რეკომენდაციით საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზიისა და რადიოს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობაზე (ძირითადად ვიდეომასალების გაცვლის თაობაზე), დედაქალაქში ე.წ. კორ-პუნქტის არსებობა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. მსგავსი შეთანხმება აპრობირებულია საზოგადოებრივ მაუწყებლებს შორის არამარტო ერთი ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ამ შეთანხმებით, ჩვენ 2014 წლის 1 ნოემბრიდან მოგვეცა წვდომა პირველი და მეორე არხის ვიდეომასალებზე. ამ დროიდან გაიზარდა თბილისიდან მოწოდებული მასალების ხარისხი და რაოდენობა, რაც დადებითად აისახა ჩვენს ტელეეთერზე.

კორ-პუნქტის ყოფილი თანამშრომლების (თბილისში მცხოვრები პირების) ბათუმში დასაქმებას იგივე ხელფასით ვერ შევძლებდით, ხოლო მათი დასაქმება თბილისში სხვა მიმართულებით მაუწყებლის საჭიროებას არ წარმოადგენდა.

ამასთან მნიშვნელვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული კორ-პუნქტის გაუქმებით, მინიმალური, მაგრამ ფინანსური სარგებელი მაინც ნახა ტელევიზიამ, რაც გამოიხატება მობილური ტელეფონებისა და საწვავის ხარჯების დაზოგვაში. დანაზოგი საშუალოდ ერთი თვის განმავლობაში შეადგენდა 1000 ლარს, ხოლო ორი თვის განმავლობაში 2000 ლარს.

სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად თბილისის საკორესპონდენტო პუნქტის გაუქმებას, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია – ეკონომიკური გარემოებები,

ასლი მრჩეველთა საბჭოს წევრს

ბატონ ბეჟან გობაძეს

ტექნოლოგიური, ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას).

შესაბამისად სახეზე გვქონდა როგორც ეკონომიკური გარემოებები – მობილური ტელეფონისა და საწვავის ხარჯების დაზოგვის სახით, ასევე ორგანიზაციული ცვლილებები – საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს შორის მიღწეული შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლის საფუძველზეც თბილისის კორპუნქტის არსებობას მასზე დაკისრებული ფუნქციონალური დატვირთვა აღარ ჰქონდა.

ქედის კორპუნქტსა და ხულოს საკრებულოს დეპუტატის წერილზე: უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში ქედაში კორპუნქტის გასახსნელად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები (კადრების გადამზადება/სტაუირება, საოფისე ფართის მოძიება, ინტერნეტით მომსახურების წინასატენდერო მოკვლევა და ა.შ.). ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით (შეთანხმებით) მისი გახსნა მიზანშეწონილია ახალი სატელევიზიო სეზონიდან.

ხულოს მუნიციპალიტეტში მყოფი რეპორტიორისა და ოპერატორის მუშაობის პროცესის ერთობის შეჩერება ვერ დააზარალებს მაუწყებელს, ვინაიდან ნებისმიერი ტელევიზიის კორპუნქტი, რომელიც მხოლოდ ერთი ჯგუფითაა წარმოდგენილი, ორგანული კანონით (საქართველოს შრომის კოდექსის 21.1-ე მუხლი) განსაზღვრული წლიური შვებულების სარგებლობის გამო, წელიწადში ერთი თვე არ მუშაობს.

რაც შეეხება ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატის ჩემდამი მოწერილ წერილს, იქ გამოთქმული იყო ეჭვი, თითქოს ხელისუფლების წარმომადგენელმა მთხოვა სავადრო ცვლილების განხორციელება. ჩემს პასუხში უარვყავი ეს „ფაქტი“. როგორ უნდა გამოვიკვლიოთ ორ სუბიექტს შორის დიალოგი შედგა, თუ არა? უნდა ვკითხოთ დიალოგის მხარეებს და დამსწრეებს. დამსწრეების შესახებ დეპუტატის წერილში არაფერი იყო ნათქვამი, დიალოგის ერთერთ მონაწილედ მე ვიყავი მოხსენიებული და შესაბამისად ჩემი მხრიდან უარყოფილი იქნა აღნიშნული ფაქტი, რადგან ბუნებაში ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ვერც სხვა პირს ვკითხავდი ამის თაობაზე, ვინაიდან ასეთი პირის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იყო ზ/აღნიშნულ წერილში. რა უნდა შემესწავლა, ჩემზე ზეწოლა განხორციელდა, თუ არა? ჩემზე ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში, დეპუტატის წერილის გარეშეც, დაუყონებლივ მივმართავდი სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი რეაგირების განხორციელების მოთხოვნით.

გადაცემა ეკონომისტის შეწყვეტაზე: 2014 წლის 29 სექტემბერს შემსყიდველ სსიპ საზოგადოებრივი მუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს და მომწოდებელ შპს „ლაიმ სტუდიო“-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (N139), რომლის საგანსაც წარმოადგნდა 2014 წლის 04 ნოემბრიდან 2015 წლის 04 სექტემბრამდე ხუთი სატელევიზიო პროგრამის (ყოველკვირეული თოქ-შოუს), კერძოდ: ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კულტურისა და განათლების შესახებ პროგრამების პირდაპირი ეთერის ფორმატში მოწოდება (ჯამში 215 გადაცემის). ხელშეკრულების თანახმად (მუხლის 6.3) შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ,

ხოლო ანგარიშსწორება (410 ლარი) ხორციელდება თითოეული გადაცემისთვის. ხელშეკრულების 2.1.3. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თაანხმად – გადაცემის წამყვანის კანდიდატურა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო შემსყიდველთან, ხოლო აზრის გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა შემსყიდველის კანდიდატურას.

2015 წლის თებერვლიდან ერთერთ პროგრამაში („ეკონომისტი“) ხელშეკრულებით (N139) გათვალისწინებული ნაკლის აღმოჩენის გამო, აჭარის ტელევიზიით აღნიშნული გადაცემა აღარ გადაიცემა. იმ დროისათვის აღნიშნული გადაცემის მოწოდების შეწყვეტის ინიციატორი (და გადაწყვეტილების მიმღები) იყო ტელევიზიის ადმინისტრაცია (შემსყიდველი). მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებასთან (N139) ერთად წარმოადგენდა „მაუწყებლის ქცევის კოდექსი“-ს 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი („შურნალისტი არ შეიძლება მუშაობდეს ერთდროულად ისეთ დამსაქმებლებთან, რამაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს“), ხოლო ფაქტობრივ საფუძველს წამყვანის საჯარო სამსახურში (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში), პრაქტიკულად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის დაწყება წარმოადგენდა. პროგრამის მომწოდებელმა კომპანიამ ხელშეკრულების თანახმად დაიწყო კონსულტაციები ახალი წამყვანის შესარჩევად (წარმოსადგენად). თუმცა ეს პროცესი დააბრკოლა იმ გარემოებამ, რომ ყოფილ წამყვანს გააჩნდა პრეტენზია - რატომ არ შეეძლო მას ტელევიზიაში მუშაობის გაგრძელება? არადა პროგრამა „ეკონომისტის“ წამყვანის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი აშკარად გამოკვეთილი იყო. მისი ახალი პოზიცია - ბათუმის საკრებულოს აპარატის შესყიდვების განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკონომიკური პროფილისაა და მის მიერ მომზადებული გადაცემები ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მხრიდან, ორი სამსახურიდან ერთერთის არჩევის მოთხოვნა, იყო მხოლოდ სიტყვიერი, რადგან მაუწყებელს თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ აკრძალვები დადგენილი არ ჰქონდა. ამდენად ყოფილი წამყვანის პრეტენზია ახალი სტანდარტების შემოღებამდე ძალაში დარჩა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან ორივე სამსახურში დარჩენა მოითხოვა სათანადო რეგულაციების შემოღებამდე. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა 2015 წლის 10 ივნისს N139 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, რომელიც შექმნილ სიტუაციაში ოპტიმალურ გამოსავლად უნდა ჩაითვალოს შემსყიდველისთვის, რადგან პროგრამების მოწოდების პერიოდი (გარდა ეკონომისტისა) ნაცვლად 2015 წლის 31 ივლისისა გაგრძელდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი 2016 წლის 31 იანვრამდე.

ამასთან გაცნობებთ, რომ მაუწყებელსა და სხვა სამსახურში პარალელურად დასაქმებულთა პრობლემის აღმოსაფხვრელად თავდაპირველად მივმართეთ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, შემდეგ მრჩეველთა საბჭოს, ასევე სახალხო დამცველის აპარატს, პროფკავშირსა და ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მიმოწერებს გარკვეული პერიოდი დასჭირდა. საპასუხო წერილის მისაღებად ხომ ვადები არსებობს. როგორც თქვენთვის ცნობილია, შინაგანაწესის მირითადი პირობები, რომელიც ამ პრობლემის მოგვარების გზაზე პირველი ქმედითი ნაბიჯია, მრჩეველთა საბჭოს ახლახანს წარედგინა და 17 ივლისის სხდომაზე დადგინდა.

ახალი შინაგანაწესი 1 აგვისტოდან ამოქმედდა და მხოლოდ ამის მერე მოგვეცა მაუწყებელს კანონიერი უფლება შევთავაზოთ პარალელურად სხვაგან დასაქმებულ თანამშრომელს ორიდან ერთი სამსახურის არჩევა. მაგრამ თებერვალში, როცა „ეკონომისტის“ წამყვანთან დაკავშირებით წარმოიშვა ეს პრობლემა, ჩვენ არ ვიცოდით, რომ ეს ახალი სტანდარტი 1 აგვისტოდან ამოქმედდებოდა, მოსალოდნელი იყო მისი ამოქმედება ნებისმიერ დროს. ასე რომ, ეკონომიკის შესახებ თოქ-შოუს წამყვანს შეეძლო ტელევიზია აერჩია ნებისმიერ დროს და გაეგრძელებინა პროექტზე მუშაობა. თებერვალში, მარტში, აპრილსა, თუ მარტში რომ შეგვერჩია სხვა კანდიდატი ამ გადაცემისთვის, ყოფილი წამყვანის მიერ ტელევიზიის არჩევის შემთხვევაში მოგვიხდებოდა უარის თქმა ახალი წამყვანისთვის, ან ყოფილი წამყვანისთვის, რაც უურნალისტური ეთიკით შეუფერებელი ნაბიჯი იქნებოდა.

ივნისში, როცა სეზონის დასრულებას ორი თვე დარჩა და უკვე ვიცოდით, რომ მიმოწერების დასრულებისა და ახალი სტანდარტების შემოღებისათვის დაახლოებით ამდენივე დრო იყო საჭირო, მივიღეთ გადაწყვეტილება გადაცემის განუახლებლობის შესახებ და გავაკეთეთ შეთანხმება მოწოდებელ კომპანიასთან. გარდა ამისა, მაუწყებლის 2014-15 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში ეკონომიკური მიმართულება აღნიშნულია მხოლოდ ახალი ამბების კონტექსტში. ამდენად პროგრამა „ეკონომისტის“ დროებით შეჩერება არ წარმოადგენდა პროგრამული პრიორიტეტების დარღვევას.

ეთერში დაშვებულ შეცდომებსა და თანამდებობრივი ინსტუქციების არ არსებობაზე: ეთერში გასულ მასალებში ფაქტების დამახინჯება აჭარის ტელევიზიას არ ჩვევია, რაზეც კვლევებისა და მონიტორინგის შედეგებიც მეტყველებს (კვლევა მრჩეველთა საბჭოს დაკვეთითაც ტარდება). მართალია, მექანიკურ შეცდომებს, რასაც ბუნებრივია, იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი, შეგვიძლია ვუწოდოთ, როგორც თქვენს წერილშია ნათქვამი, მცდარი ინფორმაცია და უზუსტობა, თუმცა უურნალისტურ წრეებში მსგავსი ტერმინებით მოიხსენიებენ მხოლოდ ფაქტების შინაარსობრივად დამახინჯებას და არა მექანიკურ შეცდომებს.

მენეჯმენტის მხრიდან რეაგირება მიზანშეწონილია ფაქტების დამახინჯებებზე. ასეთი მაღალი რეიტინგისა და სანდოობის მქონე საინფორმაციო სამსახური, მექანიკური შეცდომების გამო, არ იმსახურებს ხელმძღვანელის შენიშვნებს, მით უფრო, როცა ამას სისტემატური ხასიათი არ აქვს. მსგავს ხარვეზებზე უურნალისტებმა ერთმანეთს ისედაც უნდა მისცენ შენიშვნები, როგორც ეს ყველა რედაქციაში ხდება.

ეთერში გასვლამდე უურნალისტის მიერ დაწერილი ტექსტი მოწმდება ერთი, ან რამდენიმე პირის მიერ, იმის მიხედვით, თუ რა დროა დარჩენილი გამოშვების ეთერში გასვლამდე. ეს პირებია - გამოშვების პროდიუსერი, რედაქტორი, წამყვანი, საინფორმაციო სამსახურის უფროსი. ეს პირები არიან პასუხისმგებელნი ტექსტობრივი დარღვევების აკუმულირებასა და აღმოფხვრაზე. იდენტური მიდგომაა სხვა ტელევიზიებშიც. განსაკუთრებული თანამდებობა საამისოდ არ არსებობს.

თანამდებობრივი ინსტრუქციები, როგორც თქვენთვის ცნობილია, გაგვაჩნია მხოლოდ შტატიან თანამშრომლებზე. უშტატოებს ხელშეკრულებით აქვთ განსაზღვრული ფუნქციები. ვინაიდან პროდიუსერი, რედაქტორი და წამყვანი

უშტატო პოზიციებია, თანამდებობრივ ინსტრუქციებში მათი უფლება-მოვალეობები ვერ იქნება ასახული.

სპეციალური რეპორტაჟის დაგვიანებით გასვლაზე: დაანონსებული „სპეციალური რეპორტაჟის“ ეთერში გაუსვლელობის გამო გულისწყრომა გამოთქვა იმ პოლიტიკურმა წრემ, რომელიც გადაცემის თემით სუბიექტურად იყო დაინტერესებული. საჯარო ბრალდებას მაუწყებლის მხრიდან გაეცა ასევე საჯარო პასუხი. იყო თუ არა ზეწოლა? - ამ კითხვას მაუწყებლის წარმომადგენლის გარდა პასუხი გასცა თვით გადაცემის ავტორმაც, რაც მნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს უურნალისტი სარგებლობს საზოგადოების ნდობით და ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პირი, ზეწოლის ფაქტის დაფარვა მას არ ჩვევია.

სამშაბათამდე მიმდინარეობდა გადაცემის გადაღება და მონტაჟი, ამიტომაც გადაცემის ვარგისიანობის შესახებ დასკვნა გაკეთდა სწორედ სამშაბათს, წინასაეთერო ნახვისას, რომელსაც ვესწრებოდით მე, გადაცემის ავტორი, მთავარი რეჟისორი და პროგრამების სამსახურის უფროსი. გადაცემა შეიცავდა როგორც ტექნიკურ, ასევე აზრობრივ ხარვეზსაც, კერძოდ თემა არ იყო დაძლეული სისრულის თვალსაზრისით (ამ აზრს მეორე დღეს დაეთანხმა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუსულან იმედაიშვილი). მე დავუყრდენი ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაციას და ერთპიროვნულად არ, მომიხსნია გადაცემა ეთერიდან. თუმცა აქტი არ შემდგარა. მსგავს შემთხვევებში აქტის შედგენის პრაქტიკა აჭარის ტელევიზიას არასდროს გააჩნდა. ბატონ ბეჭან გობაძის რეკომენდაციას მსგავსი აქტის შედგენის თაობაზე მე იმთავითვე დავეთანხმე და გადაცემის საეთეროდ დაწუნების შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული.

მართალია იმავე დღეს მაყურებელს ბოდიში არ მოვუხადეთ, თუმცა შეცვლილი ანონსით (ასევე საჯარო განცხადებებითაც) მაყურებელმა შეიტყო გადაცემის მომდევნო სამშაბათს გადატანის შესახებ. ერთი კვირით დაგვიანების გამო გადაცემა აქტუალობას არ კარგავდა.

გადაცემის მომზადებამდე ანონსის გაშვება მიღებული პრაქტიკაა სხვადასხვა ტელევიზიაში. თუკი ვერ მოესწრება დაანონსებული გადაცემის დასრულება და იგი ეთერში არ გავა, სასურველია, ბოდიში მოვუხადოთ მაყურებელს. პროგრამული განრიგი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება დაირღვეს. ზოგჯერ ბოდიშის მოხდით, შესაძლოა, გადამეტებული ყურადღება მიაქცევინო მაყურებელს ხარვეზისთვის. განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის პირობებში კი ბოდიშის მოხდა აუცილებელია. ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკოსთა განცხადებებს უფრო დიდი საზოგადოებრივი დაინტერესება მოჰყვა, ვიდრე საკუთრივ გადაცემას.

გადაცემის ერთი კვირით გადადების შესახებ ავტორმა დაწუნებისთანავე აცნობა რესპონდენტებს. რამდენიმე პირმა გადაცემის დაგვიანება პოლიტიკური დივიდენდების დასაწერად გამოიყენა და საჯარო განცხადება გააკეთა. რომ არა მათი ეს განცხადება, ჩვენი ტელევიზიის ამ ხარვეზს ესოდენი მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა.

ვებ-გვერდიდან მასალის მოხსნაზე:

ყოველი სიუჟეტი, მისი მომზადებისა და გავრცელების სპეციფიკით გამოხატავს ტელეარხის დამოკიდებულებას მოცემული თემისადმი, კერძოდ - თუკი სიუჟეტი არის ხანგრძლივი, სასცენარო გეგმაში ჩასმულია საწყის პოზიციაზე, მეორდება რამდენიმე გამოშვებაში და თავსდება ვებ-გვერდზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ტელეარხმა ამ თემას მიანიჭა დიდი მნიშვნელობა. ასევე, თუკი სიუჟეტი არის ხანგრძლივი, სასცენარო გეგმაში ჩასმულია ბოლოში, არ მეორდება გამოშვებებში და არ თავსდება ვებ-გვერდზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ტელეარხმა ამ თემას მიანიჭა ნაკლები მნიშვნელობა. ანუ ვებ-გვერდზე ყველა სიუჟეტი არ თავსდება და მისი განთავსება-არგანთავსება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ტელეარხი თემას. სიუჟეტის ვებ-გვერდზე განუთავსებლობა შეუძლებელია მივიჩნიოთ თემის დაბლოკის მცდელობად. მით უმეტეს, როცა ამავე სიუჟეტის ნახვა შეიძლება გადახვევით ინტერნეტით, ან ტელევიზიით.

უნდა გავმიჯნოთ - სიუჟეტი კონცერტის გამართვის შესახებ (პირველ დღეს) და სიუჟეტი კონცერტის შემდგომი საზოგადოებრივი რეაქციის შესახებ (მეორე დღეს). უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ტელევიზიის პირველი სიუჟეტი კონცერტის გამართვის შესახებ არ ასახავდა მოვლენას სრულად, იგი მოიცავდა ღონისძიების მხოლოდ პირველ ნაწილს (საკუთრივ კონცერტს), ხოლო ღონისძიების მეორე ნაწილის (ვარსკვლავების გახსნის ცერემონიალის) ამსახველი გადრები სიუჟეტში არ იყო, რადგან ვერ მოესწრებოდა მისი დამონტაჟება საინფორმაციო გამოშვების დაწყებამდე. საზოგადოების რეაქცია მოჰყვა და ამდენად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა სწორედ ღონისძიების მეორე ნაწილი, რომლის ამსახველი კადრებიც ღამით, სოციალური ქსელით გავრცელდა, და არა ღონისძიების პირველი ნაწილი, რომელიც აჭარის ტელევიზიით გავრცელდა.

ამ სიუჟეტის ვებ-გვერდზე განთავსებამ, ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით, უხერხულობა შექმნა თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო, რაც დედაქალაქში საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ აღიქმებოდა მთელი აჭარის პოზიციად (ანუ თითქოს აჭარამ გულთან არ მიიტანა ტრაგედია). ამიტომაც განსაკუთრებით მძაფრი იყო თბილისში მცხოვრები ბათუმელების რეაქცია. ამდენად სიუჟეტის ვებ-გვერდიდან მოხსნა იყო მოვლენების შეფასების შედეგი.

თუმცა, მალევე, სამუშაო საათების დადგომისთანავე, როცა საინფორმაციო სამსახურმა დაიწყო კონცერტის შემდგომი საზოგადოებრივი რეაქციის შესახებ მასალის მომზადება, ვებ-გვერდზე აღადგინა მოხსნილი ვიდეო, როგორც დაგეგმილი სიუჟეტის წინამორბედი, და ამდენად მნიშვნელოვანი თემა.

საფეხბურთო მატჩის ტრანსლირებაზე: უცხოეთიდან საფეხბურთო მატჩის სიგნალის მიღება და ტრანსლირება აჭარის ტელევიზიას „პრაქტიკაში არასდროს ჰქონია. ეს პირველი ხელშეკრულება იყო უცხოურ ტელევიზიასთან მატჩების ჩვენების გაცვლის შესახებ, რომლის პირობებიც აჭარის ტელევიზიამ უნაკლოდ შეასრულა. კვიპროსულმა მხარემ, ტექნიკური მიზეზით, თანამგზავრული სიგნალის მიწოდება ვერ შეძლო „თურქეთისთვის“. ასეთი ტექნიკური დაბრკოლება ძალიან იშვიათი მოვლენაა, მით უფრო ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის. ესოდენ იშვიათი საფრთხის

პირველივე ჯერზე გათვალისწინება ჩვენი მხრიდან არ მომხდარა. ასე რომ, არ მომზადდა საინფორმაციო გამოშვება, რომელიც შესაძლოა საფეხბურთო მატჩის ნაცვლად გასულიყო, რადგან იგი პროგრამაში არ იყო. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მოხერხდა კომენტატორების ეთერში შესვლა სტუდიიდან, ასევე სატელეფონო ჩართვა ნიქოზიიდან.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ჩვენი მაუწყებელი გამოირჩევა ისეთი მაღალი რეიტინგითა და სანდოობით, რომელიც წინა წლებში აჭარის ტელევიზიის არ ჰქონია. რასაც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მემო-98“-ის ერთობლივი ბოლო მონიტორინგის შედეგებიც ადასტურებს (მედია ექსპერტები აჭარის ტელევიზიის უწოდებენ ყველაზე ობიექტურ და დაბალანსებულ მაუწყებელს საქართველოს მასშტაბით, ასევე აცხადებენ შემდეგს - აჭარის ტელევიზიამ დაამტკიცა, რომ მწირი დაფინანსებით, დაახლოებით 6 მილიონ ლარად შესაძლებელია უკეთესი კონტენტი შესთავაზოს მაყურებელს, ვიდრე ეს დედაქალაქში ბაზირებულმა 30 მილიონ ლარზე მეტი ბიუჯეტის მქონე ტელევიზიებმა შეძლეს. აღნიშნული შეფასებები განთავსებულია ჩვენი არხის ოფიციალურ ვებგერდზე. (2015 წლის 24 თებერვალი).

კვლევები აჩვენებს, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობა სწორი და გამართლებულია, ჩვენს სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი, აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები, ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი და დასავლური მედიის პრინციპები.

შენარჩუნდება მიღწეული - ობიექტურობა, სანდოობა, მრავალფეროვნება.

სამომავლოდ ვგეგმავთ, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ უკვე დაგროვებული გამოცდილება და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები შედეგების გასაუმჯობესებლად.

პატივისცემით,

საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

დირექტორი

14.08.15

სოსო სტურუა